

## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის

2013 წლის 21 მაისის სხდომის

ოქმი =27

სენატის სხდომას, წევრთა სიითი შემადგენლობის 28 წევრიდან (1 საპატიო წევრი), ესწრებოდა 19. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს სენატის სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ სენატის წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

**წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცდა.**

**სპიკერი:** განვიხილოთ საკითხი, რომელზეც ერთობლივად უნდა იმსჯელოს აკადემიური საბჭოსა და სენატის გაერთიანებულმა სხდომამ. აღნიშნული საკითხი ეხება სტუ-ს სარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემას –მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

**პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი:** წარმოგიდგენთ საკითხს, რომელიც ეხება სამოქალაქო განათლების ფონდის დირექტორის, ქალბატონ თამარ ჩორგოლეიშვილის განცხადებას, რომელსაც სურს სტუ-ს მე-8 სასწავლო კორპუსის სახურავზე „ტაბულას“ სატელევიზიო სიგნალის გადამცემის დამონტაჟება, რაზეც მან მოგვმართა თხოვნით.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.**

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის 2013 წლის 21 მაისის გაერთიანებულ სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სარგებლობაში გადმოცემული ფართობების იჯარით გაცემის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით აკადემიურმა საბჭომ და სენატმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება: რადიოტექნიკისა და მაუწყებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ბატონ ნოდარ უღრელიძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ტექნიკური შესაძლებლობა VIII კორპუსის სახურავზე, დღეისათვის, რაიმე ანტენის დამონტაჟებისა არ არსებობს. აღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით უარი ეთქვას სამოქალაქო განათლების ფონდის დირექტორს, ქალბატონ თამარ ჩორგოლიევიშვილს სტუ-ს მე-8 სასწავლო კორპუსის სახურავზე „ტაბულას“ სატელევიზიო სიგნალის გადამცემის დაყენებასთან დაკავშირებით.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი – სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ინდუსტრიული მიკრობიოლოგიის და ბიოტექნოლოგიის ცენტრის“ შექმნის შესახებ – მომხსენებელი პროფ. მამუკა კოტეტიშვილი

**პროფ. მამუკა კოტეტიშვილი:** მოგახსენებთ, რომ ცენტრი იმუშავეს თვითდაფინანსებაზე და ორიენტირებული იქნება სტუ-ს სტუდენტების ცოდნის ამაღლებაზე. ასევე, მინდა გითხრათ, რომ საკითხი ძალზედ აქტუალურია და საჭიროებს უფრო მეტი ყურადღების მიქცევას, სწორედ ამის განხორციელებას გეგმავს ზემოთ ხსენებული ცენტრი.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.**

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 21 მაისის =27 სხდომაზე პროფ. მამუკა კოტეტიშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ინდუსტრიული მიკრობიოლოგიის და ბიოტექნოლოგიის ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის დადგენილება №907.

**სენატმა გადაწყვიტა:** დამტკიცდეს სტუ-თან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „ინდუსტრიული მიკრობიოლოგიის და ბიოტექნოლოგიის ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი. იგი ეხება სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების

წარმოების განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნას – მომხსენებელი პროფ. ნუგზარ წერეთელი

**პროფ. ნუგზარ წერეთელი:** მოგახსენებთ, რომ ცენტრი იქმნება თვითდაფინანსების პრინციპით და იგი ხელს შეუწყობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პრესტიჟის ამაღლებას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ.

**სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.**

### **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =3**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 21 მაისის =27 სხდომაზე პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების წარმოების განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის დადგენილება №908.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „საყოფაცხოვრებო ქიმიის პროდუქტების წარმოების განვითარების ხელშემწყობი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

**სპიკერი:** განვიხილოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ეხება სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სეისმომედეგი ნაგებობების მშენებელთა გადამზადების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცებას. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის დადგენილება №909 – მომხსენებელი პროფ. აგული სოხაძე;

**პროფ. აგული სოხაძე:** წარმოგიდგინოთ საკითხს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სეისმომედეგი ნაგებობების მშენებელთა გადამზადების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. ცენტრი იმუშავეს თვითდაფინანსების პრინციპით, რომელიც მოამზადებს სეისმომედეგი ნაგებობების მშენებლებს.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 21 მაისის =27 სხდომაზე პროფ. აგული სოხაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სეისმომედეგი ნაგებობების მშენებელთა გადამზადების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის დადგენილება №909.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „სეისმომედეგი ნაგებობების მშენებელთა გადამზადების ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი. იგი ეხება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „რუსული ენისა და კულტურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცებას. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის დადგენილება №910 – მომხსენებელი პროფ. ბორის იმნაძე.

პროფ. ბორის იმნაძე : ეს ცენტრი იმუშავებს თვითდაფინანსების პრინციპით და მოემსახურება სტუდენტებს, რომელთაც ექნებათ სურვილი შეისწავლონ რუსული ენა და კულტურა.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა =5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატის 2013 წლის 21 მაისის =27 სხდომაზე პროფ. ბორის იმნაძემ წარმოადგინა საკითხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „რუსული ენისა და კულტურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2013 წლის 23 აპრილის დადგენილება №910.

სენატმა გადაწყვიტა: დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თვითდაფინანსების პრინციპით მომუშავე „რუსული ენისა და კულტურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ შექმნა და მისი დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ერთობლივად უნდა იმსჯელოს აკადემიური საბჭოსა და სენატის გაერთიანებულმა სხდომამ. იგი ეხება სტუ-ს სამართლებრივი ფორმის შეცვლას.

როგორც აკადემიური საბჭოს, ისე სენატის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმაზე გადასვლის იდეას. ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმა იძლევა საშუალებას დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლების, ეფექტური მართვისა და ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი, რომელიც დამტკიცდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
2013 წლის 21 მაისის  
აკადემიური საბჭოსა და სენატის ერთობლივი  
გადაწყვეტილება №917

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და სენატის 2013 წლის 21 მაისის გაერთიანებულ სხდომაზე აკადემიკოსმა არჩილ ფრანგიშვილმა წარმოადგინა წინადადება სტუ-ს სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით აკადემიურმა საბჭომ და სენატმა მიიღეს ერთობლივი გადაწყვეტილება: საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ახალი კონცეფციის განხილვის შედეგად სტუ-ს ეფექტური მართვის, ფინანსური მდგრადობის, შემოქმედებითი თავისუფლების ხარისხის ამაღლების მიზნით და სამართლებრივი ფორმის თვალსაზრისით უპირატესობა მიენიჭოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმას.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ სენატის წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, სენატის წევრებს მადლობა მოახსენა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სენატის სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

ბექა კოპაძე